+/

პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2024 წლის --- ნოემბერი

ქ. წყალტუბო

სს „სილქნეტი“–სათვის 5 (ხუთი) წლის ვადით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით, ქალაქ წყალტუბოში, დედაენის ქუჩაზე ს/კ 29.00.672 მდებარე 5 (ხუთი) ერთეული გარე განათების კონსტრუქციის გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 5 ნოემბრის №48-4824310151 წერილი, რომელშიც სს „სილქნეტის“ წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე ითხოვს თანხმობას სს „სილქნეტი“–სათვის 5 (ხუთი) წლის ვადით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით, ქალაქ წყალტუბოში, დედაენის ქუჩაზე ს/კ 29.00.672 მდებარე 5 (ხუთი) ერთეული გარე განათების კონსტრუქციის გადაცემის შესახებ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს, სს „სილქნეტი“–სათვის 5 (ხუთი) წლის ვადით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით, ქალაქ წყალტუბოში, დედაენის ქუჩაზე ს/კ 29.00.672 მდებარე 5 (ხუთი) ერთეული გარე განათების კონსტრუქციის გადაცემის შესახებ.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა
მეორადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი — მ. ბერაძე

შეთანხმებულია
აპარატის უფროსი — გ. თათარაშვილი
კომისიის თავმჯდომარე — რ. დიდავა

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-4824310151**
თარიღი: **05/11/2024**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებუ
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ. N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

გაცნობებთ, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა სს ,,სილქნეტის'' წარმომადგენლის წერილი (თან ერთვის), რომელშიც აღნიშნულია, რომ 2022 წლის 7დეკემბერს დადებული საიჯარო ხელშეკრულებით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტისაგან იჯარის უფლებით გადაცემული ჰქონდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული და ბალანსზე რიცხული ქონება კერძოდ: ქ.წყალტუბოში დედაენის ქუჩაზე ს/კ 29.00.672 მდებარე 5 ერთეული გარე განათების კონსტრუქცია. აღნიშნულ ხელშეკრულებას 2024 წლის 6 დეკემბერს უმთავრდება მოქმედების ვადა და ითხოვს 5 წლის ვადით ახალი ხელშეკრულების დადებას. საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 122–ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ, მოგვცეთ თანხმობა, სს ,,სილქნეტს'' სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გადაეცეს ქ.წყალტუბოში დედაენის ქუჩაზე ს/კ 29.00.672 მდებარე 5 ერთეული გარე განათების კონსტრუქცია.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

№ 816/14-6 "04" 09 2024

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას

გაცნობებთ, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას და სს „სილქნეტს“ შორის 2022 წლის 07 დეკემბერს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებას, რომელიც შეეხება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ და ბალანსზე რიცხულ ქონებას, კერძოდ ქალაქ წყალტუბოში დედაენის ქუჩაზე (ს/კ 29.00.672) მდებარე 5 ერთეული გარე განათების კონსტრუქციის იჯარას, ეწურება საიჯარო ვადა 2024 წლის 06 დეკემბერს.

შესაბამისად, მოგმართავთ თხოვნით, გაგვიგრძელოთ აღნიშნული საიჯარო ხელშეკრულება მომდევნო 5 წლის ვადით.

პატივისცემით,

პაპუნა უგრეხელიძე

ქონების მართვის, ადმინისტრირებისა და

რეალიზაციის დეპარტამენტის უფროსი

საკონტაქტო: 555264422